



საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის რექტორის  
ბრძანება №184 § 37/04

ქალაქი ქუთაისი

25 ოქტომბერი 2011 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის საბჭოს წევრთა საერთო  
რაოდენობის, აკადემიური პერსონალის ფაკულტეტის საბჭოში არჩევნების  
ჩატარების თარიღისა და ადგილის, კანდიდატთა რეგისტრაციის ვადებისა და  
კანდიდატის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა  
და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 20 აგვისტოს №712 ბრძანებით  
დამტკიცებული წესდებისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს  
2011 წლის 21 ოქტომბრის №7 (11/12) დადგენილებით დამტკიცებული  
აგრარული ფაკულტეტის დებულების შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1.** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის საბჭოს წევრთა  
საერთო რაოდენობა განისაზღვროს 12 წევრით. საბჭოს შემადგენლობაშია:  
ფაკულტეტის დეკანი; სტუდენტი - 3; აკადემიური პერსონალი - 8, მათ შორის  
ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების  
წარმომადგენლები:

ა) სუბტროპიკული კულტურებისა და ლანდშაფტული არქიტექტურის  
დეპარტამენტი - 2 წევრი;

- ბ) აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი - 2 წევრი;
- გ) სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის დეპარტამენტი - 2 წევრი;
- დ) აგროინჟინერიის დეპარტამენტი - 2 წევრი.

**მუხლი 2.** ამ ბრძანებით განსაზღვრული აგრარული ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთა არჩევნები ჩატარდეს 2011 წლის 08 ნოემბერს, 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ აუდიტორიაში: N 412 (მისამართი: ქუთაისი, შერვაშიძის ქ. № 53);

**მუხლი 3.** ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის მიერ ასარჩევ წარმომადგენელთა (კანდიდატთა) რეგისტრაცია იწარმოებს 2011 წლის 28 ოქტომბრიდან 2011 წლის 6 ნოემბრის ჩათვლით. კანდიდატთა რეგისტრაცია და დოკუმენტების მიღება იწარმოებს ყოველდღიურად 10.00 საათიდან 15.00 საათამდე. კანდიდატთა რეგისტრაციას და დოკუმენტების მიღებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა № 59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, მეორე სართული, ოთახი № 1222.

**მუხლი 4.** უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კანდიდატმა (აკადემიურმა პერსონალმა) უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადი განცხადება კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ცნობა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ

**მუხლი 5.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამ ბრძანებით განსაზღვრული ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ  $\frac{1}{4}$ -ით.

**მუხლი 6.** ეთხოვოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმმართველობას შესაბამისობაში მოიყვანოს ფაკულტეტის საბჭოში მათ მიერ არჩეული წევრთა რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტის საბჭოში არჩეულია სტუდენტთა ამ ბრძანებით დადგენილ რაოდენობაზე მეტი სტუდენტი, მაშინ საბჭოს შემადგენლობაში უნდა დარჩეს არჩევნების დროს მიღებულ ხმათა რაოდენობის მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტები (შესაბამისად უფლებამოსილება შეუწყდეს იმ

სტუდენტს, რომელმაც მიიღო ხმების ნაკლები რაოდენობა; თუ ხმები თანაბარია, ტარდება წილისყრა). იმ შემთხვევაში, თუ არჩეულ სტუდენტთა რაოდენობა ნაკლებია ამ ბრძანებით დადგენილ სტუდენტთა რაოდენობაზე, მაშინ სტუდენტთა თვითმმართველობა უზრუნველყოფს არჩევნების ჩატარების ორგანიზებას.

**მუხლი 8.** უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს:

ა) ამ ბრძანებით და შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება;

ბ) შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცება.

**მუხლი 9.** უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურმა საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვიდან გამომდინარე, უზრუნველყოს შესაბამისი ხარჯების გამოყოფა.

**მუხლი 10.** ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში „ქუთაისის უნივერსიტეტი“

**მუხლი 11.** უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება და უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. უნივერსიტეტის გამომცემლობამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება გაზეთ „ქუთაისის უნივერსიტეტი“.

**მუხლი 12.** უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის და ამ ბრძანების ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე გამოკვრა.

**მუხლი 13.** დადგენილება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი

გიორგი ლავთაძე

